ხელშეკრულება № 38

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

26 მარტი 2018წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ კედელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ახალი ნათება, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გაბინაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხელშეკრულების საგანია ამსტრონგის ნათურებისა შეძენა (CPV: 31500000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 230.00 (ორას ოცდაათი) ლარს.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 26 მარტიდან და მოქმედებს 2018 წლის 26 მაისის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" მიაწოდოს დანართის შესაბამისად პროდუქცია შეთანხმების პირობების დაცვით, ხოლო უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში აანაზღაუროს საქონლის ღირებულება და თანმდევი ხარჯები.

2.2.„შემსყიდველი" ვალდებულია უქრუნველყოს „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურება, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარებსის აქტის შესაბამისად, ათი საბანკო დღის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
აკ. ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სსიპ ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა	შპს ახალი ნათება
მის.:ქ.თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. #9	იურიდ. მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.N25ა
ტელ: 299 00 73	ფაქტიური მის: ქ. თბილისი, წულუკიძის ქ. N11
ს/კ 203853856	ტელ: 2 20-24-24
ს/ს "თი ბი სი ბანკი"	ს/კ № 202066156
ბანკის კოდი TBCBGE22	საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა GE21TB712373602010001	ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი"
დირექტორი	ბანკის კოდი MIBGGE22
ნუგზარ კედელაშვილი	ა/ა GE74PC0053600100013179
	დირექტორი
	ზურაბ გაბინაშვილი

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	CPV კოდი	დასახელება	განზომილ ების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1.	31500000	ნათურა	ცალი	100	2.30 ლარი	230.00 ლარი
სულ ღირებულება						230.00 ლარი

სსიპ - აკ. ილია ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის
ქალაქ თბილისის №42 საჯარო
სკოლის დირექტორი

/ნუგზარ კედელაშვილი/

შპს „ახალი ნათება“-ის დირექტორი

/ზურაბ გაბინაშვილი/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. თბილისი

26 მარტი 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ამსტრონგის სანათების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს „ახალი წათება"-ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ნ. 32892

საჯარო სკოლის დირექტორი /ნ. კედელაშვილი/

მიმწოდებლის შერჩევში მონაწილე პირი: /თ. ბეგიაშვილი/